



2023

შპს მინისო ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	10
4. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	11
5. შემოსავალი	12
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	12
7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	13
8. ხელფასის ხარჯი	13
9. საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება /(ზარალი), წმინდა	13
10. ძირითადი საშუალებები.....	14
11. მარაგები	14
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
13. გადახდილი ავანსები	15
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	15
15. საგადასახადო ვალდებულებები	15
16. მიღებული სესხები.....	15
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16
20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	16

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობითი ანგარიშგება.....	21
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მინისო ჯორჯია“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მინისო ჯორჯია“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მარაგები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 5,495,539 ლარის ოდენობით (საწყისი ნაშთი). ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 14 თებერვალს, შესაბამისად ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ მარაგებთან მიმართებაში, ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა რწმუნება ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრით წარმოდგენილი მარაგების არსებობასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს 2023 წლის ფინანსური შედეგების განსაზღვრაში, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა 2023 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი 11,414,400 ლარის რეალიზაციის თვითღირებულების და წლის მოგების კორექტირება, ასევე საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - შესადარისი ინფორმაციის შესწორება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-4 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება მენეჯმენტის მიერ გამოქვეყნებულ 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლების არააუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

წინა პერიოდის ანგარიშგება არ არის აუდიტირებული. „პირობითი მოსაზრების საფუძველში“ აღწერილი გარემოებების გარდა, ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს - ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

31 აგვისტო, 2024

თბილისი, საქართველო

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეკვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვცვალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

31 აგვისტო, 2024

თბილისი, საქართველო



შპს მინისო ჯორჯია

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
			*გადაანგარიშებული (არააუდიტირებული)
შემოსავალი	4	28,640,613	25,142,725
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(11,414,400)	(11,956,477)
საერთო მოგება		17,226,213	13,186,248
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(5,388,072)	(4,646,356)
ხელფასის ხარჯი	8	(4,109,812)	(3,199,729)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(538,704)	(487,754)
საოპერაციო მოგება		7,189,625	4,852,409
საპროცენტო შემოსავალი		116,798	79,190
საპროცენტო ხარჯი		(3,629)	(35,376)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა	9	(44,244)	251,478
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		(47,874)	3,753
მოგება დაბეგვრამდე		7,210,676	5,151,454
მოგების გადასახადი		(1,118,266)	(631,579)
წლის წმინდა მოგება		6,092,410	4,519,875
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,092,410	4,519,875

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების შედეგად.

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 31 აგვისტო და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი _____

ბექა კიკალეიშვილი

მთავარი ბუღალტერი _____

მარია სააკოვა

10-20 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მინისო ჯორჯია

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
			*გადაანგარიშებული (არააუდიტირებული)
შემოსავალი	4	28,640,613	25,142,725
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(11,414,400)	(11,956,477)
საერთო მოგება		17,226,213	13,186,248
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(5,388,072)	(4,646,356)
ხელფასის ხარჯი	8	(4,109,812)	(3,199,729)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(538,704)	(487,754)
საოპერაციო მოგება		7,189,625	4,852,409
საპროცენტო შემოსავალი		116,798	79,190
საპროცენტო ხარჯი		(3,629)	(35,376)
საკუროს სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა	9	(44,244)	251,478
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		(47,874)	3,753
მოგება დაბეგვრამდე		7,210,676	5,151,454
მოგების გადასახადი		(1,118,266)	(631,579)
წლის წმინდა მოგება		6,092,410	4,519,875
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,092,410	4,519,875

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების შედეგად.


ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 31 აგვისტო და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი



ბექა კიკალაიშვილი

მთავარი ბუღალტერი



მარია სააკოვა

10-20 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მინისო ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 *გადაანგარიშებული (არააუდიტირებული)	1 იანვარი 2022 *გადაანგარიშებული (არააუდიტირებული)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	1,964,026	1,922,660	1,958,959
არამატერიალური აქტივები		96,951	152,395	212,801
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,060,977	2,075,055	2,171,760
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	11	5,572,994	5,495,539	5,223,063
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	429,293	375,739	310,863
გადახდილი ავანსები	13	234,791	215,213	774,464
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	3,205,775	5,978,359	1,410,731
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,442,853	12,064,850	7,719,121
სულ აქტივები		11,503,830	14,139,905	9,890,881
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		8,361,944	8,606,376	7,665,448
სულ კაპიტალი		8,361,944	8,606,376	7,665,448
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	15	580,508	668,298	176,249
მიღებული სესხები	16	-	2,307,520	1,742,669
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	2,561,378	2,557,711	306,515
სულ ვალდებულებები		3,141,886	5,533,529	2,225,433
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,503,830	14,139,905	9,890,881

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების შედეგად.

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 31 აგვისტოს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ბექა კიკალეიშვილი

მთავარი ბუღალტერი

მარია სააკოვა

შპს მინისო ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 *გადაანგარიშებული (არააუდიტირებული)	1 იანვარი 2022 *გადაანგარიშებული (არააუდიტირებული)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	1,964,026	1,922,660	1,958,959
არამატერიალური აქტივები		96,951	152,395	212,801
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,060,977	2,075,055	2,171,760
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	11	5,572,994	5,495,539	5,223,063
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	429,293	375,739	310,863
გადახდილი ავანსები	13	234,791	215,213	774,464
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	3,205,775	5,978,359	1,410,731
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,442,853	12,064,850	7,719,121
სულ აქტივები		11,503,830	14,139,905	9,890,881
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		8,361,944	8,606,376	7,665,448
სულ კაპიტალი		8,361,944	8,606,376	7,665,448
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	15	580,508	668,298	176,249
მიღებული სესხები	16	-	2,307,520	1,742,669
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	2,561,378	2,557,711	306,515
სულ ვალდებულებები		3,141,886	5,533,529	2,225,433
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,503,830	14,139,905	9,890,881

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების შედეგად.

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 31 აგვისტოს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი



ბექა კიკალაიშვილი

მთავარი ბუღალტერი



მარია სააკოვა

შპს მინისო ჯორჯია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება *გადაანგარიშებული	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	7,665,448	7,665,448
*გადაანგარიშებული, არააუდიტირებული		
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,519,875	4,519,875
გამოცხადებული დივიდენდები	(3,578,947)	(3,578,947)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	8,606,376	8,606,376
*გადაანგარიშებული, არააუდიტირებული		
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,092,410	6,092,410
გამოცხადებული დივიდენდები	(6,336,842)	(6,336,842)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	8,361,944	8,361,944

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების შედეგად.

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 31 აგვისტოს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი _____

ბექა კიკალაიშვილი

მთავარი ბუღალტერი _____

მარია სააკოვა

10-20 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მინისო ჯორჯია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება *გადაანგარიშებული	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის		
*გადაანგარიშებული, არააუდიტირებული	7,665,448	7,665,448
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,519,875	4,519,875
გამოცხადებული დივიდენდები	(3,578,947)	(3,578,947)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის		
*გადაანგარიშებული, არააუდიტირებული	8,606,376	8,606,376
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,092,410	6,092,410
გამოცხადებული დივიდენდები	(6,336,842)	(6,336,842)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	8,361,944	8,361,944

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების შედეგად.


ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 31 აგვისტოს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი



ბექა კიკალეიშვილი

მთავარი ბუღალტერი



მარია სააკოვა

10-20 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მინისო ჯორჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
			*გადაანგარიშებული არაუდიტირებული
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		33,889,988	29,561,891
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები		(17,111,095)	(14,198,183)
გადახდილი შრომის ანაზღაურება		(3,060,714)	(2,372,571)
გადახდილი გადასახადები		(6,752,075)	(4,827,025)
ბანკის საკომისიო ხარჯები		(744,669)	(462,999)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		6,221,435	7,701,113
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საბანკო ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა		119,684	91,078
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები		(433,154)	(267,665)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(313,470)	(176,587)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
დივიდენდის განაწილება		(6,336,842)	(3,578,947)
სესხის აღება		270,795	4,182,534
მიღებული სესხის დაფარვა		(2,550,535)	(3,467,036)
გადახდილი პროცენტი		(3,629)	(35,376)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(8,620,211)	(2,898,825)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა / (გასვლა) წლის განმავლობაში		(2,712,246)	4,625,701
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	8	(60,338)	(58,073)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	13	5,978,359	1,410,731
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	13	3,205,775	5,978,359

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების შედეგად.

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 31 აგვისტოს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი _____ ბექა კიკალაიშვილი

მთავარი ბუღალტერი _____ მარია სააკოვა

10-20 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მინისო ჯორჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
			*გადაანგარიშებული არააუდიტირებული
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		33,889,988	29,561,891
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები		(17,111,095)	(14,198,183)
გადახდილი შრომის ანაზღაურება		(3,060,714)	(2,372,571)
გადახდილი გადასახადები		(6,752,075)	(4,827,025)
ბანკის საკომისიო ხარჯები		(744,669)	(462,999)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		6,221,435	7,701,113
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საბანკო ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა		119,684	91,078
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები		(433,154)	(267,665)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(313,470)	(176,587)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
დივიდენდის განაწილება		(6,336,842)	(3,578,947)
სესხის აღება		270,795	4,182,534
მიღებული სესხის დაფარვა		(2,550,535)	(3,467,036)
გადახდილი პროცენტი		(3,629)	(35,376)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(8,620,211)	(2,898,825)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა / (გასვლა) წლის განმავლობაში		(2,712,246)	4,625,701
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	8	(60,338)	(58,073)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	13	5,978,359	1,410,731
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	13	3,205,775	5,978,359

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების შედეგად.


ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 31 აგვისტოს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი



ბექა კიკალაიშვილი

მთავარი ბუღალტერი



მარია სააკოვა

10-20 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მინისო საქართველო (შემდგომში „კომპანია“) საქართველოში დაარსდა 2016 წლის 6 სექტემბერს ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405164879. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ანა კალანდაძის ქ.№4, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა.

კომპანიის მფლობელები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არიან:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ლევან აროშიძე	33%	33%	33%
ნანა აროშიძე	17.5%	17.5%	17.5%
არჩილ აროშიძე	17%	17%	17%
იბრაიმ შალიკაძე	12.5%	12.5%	12.5%
ირაკლი გოგოლიშვილი	8%	8%	8%
გიორგი ჩიტაშვილი	5%	5%	5%
დავით შალიკაძე	5%	5%	5%
დავით ანდლულაძე	2%	2%	2%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებისთვის, რომლებიც ჩაწერილია ნეტო ღირებულებით, ანარიცხები წარმოდგენილია ცალკე რეზერვის ანგარიშზე, ზარალის აღიარებით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. როდესაც დადასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს, მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

4. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ნაშთების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 31 დეკემბრისა და 1-ლი იანვრის მდგომარეობით:

ცვლილებების ეფექტი 2022 წლის 31 დეკემბრით და 2022 წლის 1 იანვრით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	2,036,002	(113,342)	1,922,660
არამატერიალური აქტივები	-	152,395	152,395
მარაგები	5,495,914	(375)	5,495,539
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	412,932	(37,193)	375,739
გადახდილი ავანსები	218,950	(3,737)	215,213
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,981,415	(3,056)	5,978,359
საგადასახადო ვალდებულებები	(650,753)	(17,545)	(668,298)
გადასახდელი ხელფასები	(156,035)	156,035	-
სხვა ვალდებულებები	(33,104)	33,104	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,335,173)	(222,538)	(2,557,711)

1-ლი იანვარი 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	2,139,974	(181,015)	1,958,959
არამატერიალური აქტივები	-	212,801	212,801
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	316,730	(5,867)	310,863
გადახდილი ავანსები	894,149	(119,685)	774,464
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,410,651	80	1,410,731
საგადასახადო ვალდებულებები	(190,826)	14,577	(176,249)
გადასახდელი ხელფასები	(83,122)	83,122	-
სხვა ვალდებულებები	(37,596)	37,596	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(368,074)	61,559	(306,515)

4. წინა პერიოდის შეცდომების შესწორება (გაგრძელება)

ცვლილებების ეფექტი 2022 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე:

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
შემოსავალი	25,119,832	22,893	25,142,725
რეალიზაციის თვითღირებულება	(11,955,434)	(1,043)	(11,956,477)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,481,504)	(164,852)	(4,646,356)
ხელფასის ხარჯი	(3,199,885)	156	(3,199,729)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(495,021)	7,267	(487,754)
საკუროს სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა	266,277	(14,799)	251,478
სხვა არასაოპერაციო	12,795	(9,042)	3,753
შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა მოგების გადასახადი	-	(631,579)	(631,579)

ცვლილებების ეფექტი 2022 წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	5,310,874	(790,999)	4,519,875
გამოცხადებული დივიდენდი	(4,210,526)	631,579	(3,578,947)

1-ლი იანვარი 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
გაუნაწილებელი მოგება	7,562,280	103,168	7,665,448

ცვლილებების ეფექტი 2022 წლის ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაზე:

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	7,642,033	59,080	7,701,113
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,575,261)	3,398,674	(176,587)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	561,958	(3,460,783)	(2,898,825)

5. შემოსავალი

2023 და 2022 წლების კომპანიის შემოსავლები სრულიად გენერირებულია მარაგების რეალიზაციიდან, მოცემულ წლებში კომპანია ახდენდა მარაგების შემდეგი კატეგორიების რეალიზაციას: სილამაზე და ჯანმრთელობა, საკანცელარიო ნივთები და საჩუქრები, ტექსტილი და ფეხსაცმელი, სათამაშოები, ტექნიკა და ციფრული აქსესუარები, საყოფაცხოვრებო ნივთები, სპორტი და ფიტნესი, ჩანთები და აქსესუარები, პროდუქცია შინაური ცხოველებისათვის და საკვები და სასმელები.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებამ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგინა 11,414,400 ლარი (2022 - 11,956,377 ლარი) და სრულად მოიცავს გაყიდული მარაგების ჩამოწერის ხარჯს.

შპს მინისო ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2023 და 2022 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
იჯარა	3,058,400	2,690,250
მარკეტინგული ხარჯები	702,661	538,459
საბანკო ხარჯები	477,140	348,871
კომუნალური ხარჯი	162,180	159,324
საკონსულტაციო ხარჯები	156,022	151,049
ტრანსპორტირების/გადაზიდვის ხარჯი	109,596	105,429
პროფესიული ხარჯები	74,989	65,999
საოფისე ინვენტარი	74,464	52,638
დაზღვევის ხარჯები	71,348	56,673
კომუნიკაციის ხარჯები	59,993	32,434
შენობის რემონტი	59,992	89,108
საოპერაციო ხარჯები	54,360	6,289
დასუფთავების ხარჯი	52,646	47,388
მივლინების ხარჯი	33,996	23,463
აღწერების ხარჯი	28,759	14,366
ქონების გადასახადის ხარჯი	19,433	19,324
წარმომადგენლობითი ხარჯები	10,891	11,441
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	3,817	66,413
საკანცელარიო ხარჯები	2,920	6,527
სხვა	174,465	160,911
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	5,388,072	4,646,356

8. ხელფასის ხარჯი

ხელფასის ხარჯი 2023 და 2022 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
კომერციული შრომის ანაზღაურება - ხელფასები	2,358,049	1,920,516
ადმინისტრაციული შრომის ანაზღაურება - ხელფასი	945,271	623,608
კომერციული შრომის ანაზღაურება - ბონუსები	461,394	405,414
ადმინისტრაციული შრომის ანაზღაურება - ბონუსი	191,710	173,621
კომერციული შრომის ანაზღაურება - ზეგანაკვეთური	150,031	75,918
ადმინისტრაციული შრომის ანაზღაურება - ზეგანაკვეთური	3,357	652
სულ ხელფასის ხარჯები	4,109,812	3,199,729

9. საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა

საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა 2023 და 2022 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	(60,338)	(58,073)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(11,686)	158,904
მიღებული სესხები	27,780	150,647
სულ საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი)	(44,244)	251,478

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის შეადგენს:

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
2022 წლის 1 იანვარი	143,835	1,904,497	169,866	869,229	3,087,427
შემოსვლა	16,035	201,700	68,381	110,065	396,181
გასვლა	(10,630)	(29)	(2,538)	-	(13,197)
2022 წლის 31 დეკემბერი	149,240	2,106,168	235,709	979,294	3,470,411
შემოსვლა	78,256	120,123	50,642	298,178	547,199
გასვლა	(30,850)	(18,694)	-	-	(49,544)
2023 წლის 31 დეკემბერი	196,646	2,207,597	286,351	1,277,472	3,968,066

დაგროვილი ცვეთა

2022 წლის 1 იანვარი	(70,407)	(766,024)	(61,544)	(230,493)	(1,128,468)
წლის ცვეთა	(20,751)	(267,097)	(26,435)	(113,065)	(427,348)
გასვლა	5,967	-	2,098	-	8,065
2022 წლის 31 დეკემბერი	(85,191)	(1,033,121)	(85,881)	(343,558)	(1,547,751)
წლის ცვეთა	(24,045)	(287,091)	(33,140)	(133,884)	(478,160)
გასვლა	10,013	11,858	-	-	21,871
2023 წლის 31 დეკემბერი	(99,223)	(1,308,354)	(119,021)	(477,442)	(2,004,040)

ნარჩენი ღირებულება

2022 წლის 1 იანვარი	73,428	1,138,473	108,322	638,736	1,958,959
2022 წლის 31 დეკემბერი	64,049	1,073,047	149,828	635,736	1,922,660
2023 წლის 31 დეკემბერი	97,423	899,243	167,330	800,030	1,964,026

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით კომპანიის სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები ისტორიული ღირებულებით შეადგენს შესაბამისად: 87,393 ლარს, 22,946 ლარს და 0 ლარს. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები სრულად იყო დატვირთული იპოთეკით ბანკის საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებების ფარგლებში.

11. მარაგები

მარაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის შეადგენს:

	31/12/2023	31/12/2022	1/1/2022
მზა პროდუქცია	3,483,106	4,092,507	2,864,332
მარაგები გზაში	2,077,072	1,403,032	2,358,731
სხვა მარაგები	12,816	-	-
სულ მარაგები	5,572,994	5,495,539	5,223,063

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით მარაგების სრულად არის დატვირთული გირავნობით ბანკის საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის შეადგენს:

	31/12/2023	31/12/2022	1/1/2022
სავაჭრო მოთხოვნები	496,631	441,999	304,207
თანამშრომლების მიმართ მოთხოვნა	2,892	153	6,656
გაუფასურების რეზერვი	(70,230)	(66,413)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	429,293	375,739	310,863

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვარი	(66,413)	-
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	(3,817)	(66,413)
31 დეკემბერი	(70,230)	(66,413)

13. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის შეადგენს:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
წინასწარ გადახდილი იჯარის გადასახადი	124,611	105,033	85,607
მარაგების შესაძენად გადახდილი ავანსები	110,180	110,180	688,857
სულ გადახდილი ავანსები	234,791	215,213	774,464

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის შეადგენს:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
ფული ბანკში	3,038,140	5,174,521	1,218,659
ფული გზაში	153,180	755,370	162,782
ნაღდი ფული	14,455	48,468	29,290
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	3,205,775	5,978,359	1,410,731

15. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც ვალდებულებას, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1-ლი იანვრის, შესაბამისად 580,508 ლარის, 668,298 ლარის და 176,249 ლარის ღირებულებით.

16. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის შეადგენს:

ორგანიზაცია	ვალუტა	%	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	31-დეკ- 2023	31-დეკ- 2022	1-იან- 2022
სს თიბისი ბანკი	ევრო	5.8%	8/9/2021	28/2/2022	-	-	1,742,669
სს თიბისი ბანკი	ევრო	5.8%	28/2/2022	28/2/2023	-	2,307,520	-
სულ მიღებული სესხები					-	2,307,520	1,742,669

16. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხების რეკონსილაცია 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
	ეროვნული ვალუტა	ეროვნული ვალუტა
1 იანვარი	2,307,520	1,742,669
სესხების აღება	270,795	4,182,534
საპროცენტო ხარჯი	3,629	35,376
გადახდილი პროცენტი	(3,629)	(35,376)
სესხების დაფარვა	(2,550,535)	(3,467,036)
საკურსო სხვაობის გავლენა	(27,780)	(150,647)
31 დეკემბერი	-	2,307,520

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვისა და 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის შეადგენს:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
სავაჭრო ვალდებულებები	2,263,937	2,337,016	209,911
გადასახდელი ხელფასები	231,500	156,514	82,994
მიღებული ავანსები	1,132	2,290	2,970
სხვა	64,809	61,891	10,640
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,561,378	2,557,711	306,515

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

უმალესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ 2023 წელს შეადგინა 181,742 ლარი (2022: 186,498 ლარი).

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ აიღო 2,451,600 ლარის სესხები და გადაიხადა 268,813 ლარის სესხი.
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გასცა 2,700,000 ლარის დივიდენდი გადასახადების გარეშე.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 31 აგვისტოს.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს, მათ შორის კაპიტალის ინსტრუმენტებს.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები:

	USD	EUR
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2022 წლის 1 იანვრისთვის	3.0976	3.5040

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკან დაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარჩებებით.

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციას საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლების საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

კომპანია მის მომხმარებლებს სთავაზობს ტექნიკის რემონტის მომსახურებას. როდესაც შესაძლებელია მომსახურების ღირებულების საიმედოდ შეფასება, კომპანია მასთან დაკავშირებულ შემოსავალს და ხარჯებს აღიარებს მომსახურების გაწევისთანავე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისა და დაქირავებით მომუშავეთაგან.

საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს ისეთ საიჯარო ხელშეკრულებებში, რომლის დროსაც კომპანიას არ გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველანაირი რისკი და სარგებელი, იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში იჯარის მთლიან ვადაზე, დარიცხვის წრფივი მეთოდით. საიჯარო ვადა წარმოადგენს იმ არაგაუქმებად პერიოდს, რომლისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პერიოდთან ერთად რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახდელებით ან მათ გარეშე იმ შემთხვევაში, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. კომპანიას არ აქვს შეუქცევადი იჯარები.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს რომლებიც არ იბეგრება, ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებასთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი დანახარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯის გაწევა.

აქტივის ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ მაშინ, როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი გამოყენებისთვის იმ სახით, როგორც ხელმძღვანელობას ჰქონდა განზრახული. ცვეთა არ წყდება აქტივის მწყობრიდან გამოსვლის ან არ გამოყენების შემთხვევაში, მანამ, სანამ იგი სრულად არ იქნება ამორტიზებული. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ოფისის აღჭურვილობა	5-8
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-8

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხდება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასდეს საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და ჩაირთვება საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით.

მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტური სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშობა მაშინ

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების სრულად მიღებას თავდაპირველი გადახდის პიოზების მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის ოდენობას წარმოადგენს იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, რომელიც განისაზღვრება დაბეგვრამდე განაკვეთით და ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის პერიოდის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანარიცხის აღიარება არ ხდება სამომავლო საოპერაციო ზარალებისთვის.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას.

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;
- ერთი საწარმო არის მეორის მკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა.
- ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.
- ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- პირი, ნახსენები (ა) (i) პუნქტში, ფლობს მნიშვნელოვან ხმის მიცემის უფლებას
- პირს, ნახსენები (ა) (ii) პუნქტში, აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა
- პირი, რომელსაც გააჩნია ორივე, როგორც მნიშვნელოვანი ხმის მიცემის უფლება, ასევე კონტროლის.
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრს აქვს კონტროლი ამ საწარმოზე.



შპს „მინისო ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია.....	23
კომპანიის საქმიანობა.....	23
დასაქმება	23
სუბიექტის განვითარების გეგმები.....	24
საბაზო ვაჭრობის სფეროში არსებული კონკურენცია.....	24
ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	25
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა.....	25
მაკროეკონომიკური გარემო, რისკები და კონკურენცია.....	25
კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	25
კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები	26
კომპანიის რისკები და გაურკვევლობები	27

ზოგადი ინფორმაცია

შპს „მინისო ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) საქართველოში დაარსდა 2016 წელს 6 სექტემბერს ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405164879. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ანა კალანდაძის ქუჩა N 4. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა. კომპანია 2023 წლის ბოლოსთვის წარმოდგენილია 22 მაღაზიით.

კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ლევან აროშიძე	33%	33%	33%
ნანა აროშიძე	17.5%	17.5%	17.5%
არჩილ აროშიძე	17%	17%	17%
იბრაიმ შალიკაძე	12.5%	12.5%	12.5%
ირაკლი გოგოლიშვილი	8%	8%	8%
გიორგი ჩიტაშვილი	5%	5%	5%
დავით შალიკაძე	5%	5%	5%
დავით ანდლულაძე	2%	2%	2%

კომპანიის საქმიანობა

შპს „მინისო ჯორჯია“ არის იაპონურ მაღაზიათა ქსელის MINISO - ს წარმომადგენლობა საქართველოში, საქართველოს ბაზარზე ის 2016 წლის დეკემბრიდან ოპერირებს და უკვე 24 მაღაზიით არის წარმოდგენილი. შპს „მინისო ჯორჯია“ მუშაობს B2B, B2C და ელექტრონული კომერციის მიმართულებით.

შპს „მინისო ჯორჯია“ საქართველოში სამი ძირითადი მიმართულებით ვითარდება: უმაღლესი ხარისხი, ინდივიდუალური დიზაინით შექმნილი უნიკალური პროდუქტი და დაბალი ფასები. ჩვენი პროდუქცია ნებისმიერი ასაკის მომხმარებელზეა გათვლილი. მინისო-ში შესაძლებელია თავის მოვლის, ფუმფულა სათამაშოების, ყურასმენების და დინამიკების, ჩანთების, სასაჩუქრე ნივთების, თეთრეულის, სამზარეულოს აქსესუარების, სახლის აქსესუარების, სამკაულების, საყოფაცხოვრებო ნივთების და ელექტროაქსესუარების შეძენა, რომლებიც სხვა ცნობილი ბრენდების ლიცენზირებულ კოლექციებს წარმოადგენენ.

დასაქმება

კომპანია შპს „მინისო ჯორჯია“ -ში თანამშრომელთა შერჩევა წარმოებს მკაცრად განსაზღვრული პროფესიული კრიტერიუმების მიხედვით და არ არის დაშვებული რაიმე ნიშნის მიხედვით მათი დისკრიმინაცია.

თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება შედგება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფიქსირებული ხელფასისა, გამომუშავებული ბონუსისგან და ზეგანაკვეთური დანამატისგან. კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევას. კომპანია ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათი პროფესიული განვითარების მიზნით.

დასაქმება (გაგრძელება)

შპს „მინისო ჯორჯია“-ს მთავარ ფასეულობას წარმოადგენს ხარისხი, დაბალი ფასები და მომხმარებლებზე ორიენტირებულობა. კომპანიის გრძელვადიანი წარმატების გარანტს წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებლების, ასევე კომპანიის პერსონალის მიმართ.

შპს „მინისო ჯორჯია“ თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო პირობებს და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, მოქმედებს შრომის კოდექსის ნორმების შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს. მაღალია პერსონალის ჩართულობა კომპანიის ბიზნეს პროცესებში, რაც ხელს უწყობს მოტივაციისა და ეფექტურობის ამაღლებას.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2023 და 2022 წლის მდგომარეობით:

	2023	2022
თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა	233	205

სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის 2023 წლის მოლოდინი და შედეგები

კომპანიის შედეგები შეესაბამება 2023 წლის მოლოდინებსა და ფინანსურ პროგნოზს. ეს ნიშნავს, რომ 2023 წელს შემოსავლების ზრდამ მოლოდინები გაამართლა. ისტორიულად გაყიდვების საუკეთესო პერიოდი კომპანიის ოპერირების განმავლობაში არის კალენდარული წლის პირველი და მეოთხე კვარტალი. კომპანია ყოველწლიურად აჩვენებს ზრდას 2016 წლიდან.

მომხმარებელზე ორიენტირებულობის გაძლიერება:

შპს „მინისო ჯორჯია“-ს დღეს მრავალი მომხმარებელი ენდობა. მომდევნო პერიოდში უფრო გაფართოვდება მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომები. ამავე მიზნით 2024 წელს დაემატა ახალი ფილიალები.

ტერიტორიული ხელმისაწვდომობა:

ტერიტორიული ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულებაა კომპანიის სტრატეგიაში. შპს „მინისო ჯორჯია“ სამომავლოდ გააფართოვებს ქსელს. „კომპანია“ წარმოდგენილი იქნება თბილისის და ბათუმის ყველა ძირითად უბანში, ასევე ქუთაისსა და რუსთავში.

პერსონალის განვითარება:

კომპანია მუდმივად ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების განვითარებაზე. კომპანია ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული და სხვადასხვა ინსტრუმენტებით ანხორციელებს წამახალისებელ პროექტებს.

საცალო ვაჭრობის სფეროში არსებული კონკურენცია

საქართველოს საცალო ვაჭრობის ბაზარი მრავალფეროვანია, რაც მკაცრ კონკურენციას იწვევს თავის მხრივ. ბაზრის წილებს როგორც მსხვილი კომპანიები, ასევე პატარა კომპანიებიც ინაწილებენ. შპს „მინისო ჯორჯია“ დიდი კომპანიების ჩამონათვალშია, მაგრამ პატარა კომპანიებიც კონკრეტულ პროდუქტებზე მნიშვნელოვან კონკურენციას იწვევენ.

საჯალო ვაჭრობის სფეროში არსებული კონკურენცია (გაგრძელება)

2023 წლისთვის კომპანიის კონკურენტებს წარმოადგენდნენ ბაზარზე არსებული საჯალოდ მოვაჭრე სხვა მაღაზიები, როგორებიცაა:

- იოიოსო
- მუმუსო
- ბიბლუსი
- პეპელა
- სუპერ თოისი

ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 და 2022 წლებში ადგილი არ ჰქონია აქციების შეძენას კომპანიის მიერ.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2023 და 2022 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

მაკროეკონომიკური გარემო, რისკები და კონკურენცია

შპს „მინისო ჯორჯია“-ს სავაჭრო პროდუქტი 99%-ი იმპორტირებულია, შესაბამისად ფასების სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის წარმართვასთან. საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკის ქვეყანაა. მიუხედავად დეფიციტის ბოლოდროინდელი შემცირებისა, იგი კვლავ მაღალია და ქვეყანა საგარეო წყაროებზე დამოკიდებული რჩება. შესაბამისად, მაღალია საქართველოს ეკონომიკის მგრძნობიარობა გლობალური და რეგიონული ეკონომიკური ზრდის შოკებისა და გლობალური ფინანსური პირობების ცვლილებების მიმართ. გარდა ამისა, საქართველოში ფინანსური სისტემის დოლარიზაცია ჯერ კიდევ მაღალია, რაც ამ შოკების ეფექტს ამწვავებს. სავალუტო რისკი საჯალო ვაჭრობის სფეროში ყველაზე დიდ რისკად იკვეთება, ფასების სტაბილურობა დამოკიდებულია გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე. კომპანიის ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები


ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის 2023 და 2022 წლების ფინანსური მონაცემები:

	2023	2022
შემოსავალი	28,640,613	25,142,725
საოპერაციო მოგება	7,275,827	4,956,223
სულ აქტივები	9,442,853	12,064,850
სულ კაპიტალი	8,421,944	8,666,376
სულ ვალდებულებები	3,081,886	5,473,529

კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები 2023 და 2022 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მოგების მარჟა	25%	20%
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	306%	220%
სისწრაფის კოეფიციენტი	126%	120%

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)



მოგების მარჟა - მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს, გენერირებული შემოსავლის რამდენ პროცენტს შეადგენს მოგება. 2023 წელს 2022 შედარებით შემოსავლის ზრდის შესაბამისად ფიქსირდება მოგების მარჟის ზრდა. დაახლოებით 6%-იანი ზრდა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ კომპანიის მოლოდინები გაამართლდა 2023 წელს, მეტმა შემოსავალმა გაზარდა მოგების მარჟა, ამასთანავე ადგილი არ ქონია გაუთვალისწინებელ ცვლილებებს რაც უარყოფით გავლენას იქონიებდა აღნიშნულ კოეფიციენტზე.

საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი (მიმდინარე კოეფიციენტი)– ფინანსური მაჩვენებელი, რომელიც ზომავს კომპანიის შესაძლებლობას, დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები. იგი გამოითვლება მიმდინარე აქტივების ფარდობით მოკლევადიან ვალდებულებებთან. თუ კოეფიციენტი ნაკლებია 1-ზე, ეს ნიშნავს, რომ კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს, რომლებიც, სავარაუდოდ, მომავალში ფულად სახსრებად გადაიქცევა. საბრუნავი კაპიტალის 84%-ით ზრდა დადებითად მეტყველებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

სისწრაფის კოეფიციენტი – ფინანსური კოეფიციენტი, რომელიც ზომავს კომპანიის შესაძლებლობას, გადაიხადოს მიმდინარე ვალდებულებები მარაგების გაყიდვის ან დამატებითი დაფინანსების მოძიების გარეშე. ეს არის საზომი იმისა, თუ რამდენად შეუძლია კომპანიას თავისი მიმდინარე აქტივებით მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა. ამ მხრივ კომპანიას 6%-ით უფიქსირდება ზრდა 2023 წელს წინა, 2022 წელთან შედარებით, რაც მის დადებით ფინანსურ მდგომარეობაზე მეტყველებს.

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას კომპანიის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის უფრო დეტალურად განხილვისათვის გაეცანით ფინანსურ ანგარიშგებას.

კომპანიის რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვა წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიის კრიტიკულად მნიშვნელოვან საყრდენს, ვინაიდან მოსალოდნელმა დაბრკოლებებმა და გაურკვევლობებმა შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე. კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში წამოჭრილ რისკებს, კომპანია მათი დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს. ამ ნაწილში ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები გაანალიზებული, რომლის წინაშეც კომპანია დგას.

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ბექა კიკალეიშვილი

მარია სააკოვა

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

კომპანიის რისკები და გაურკვევლობები


რისკების მართვა წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიის კრიტიკულად მნიშვნელოვან საყრდენს, ვინაიდან მოსალოდნელმა დაბრკოლებებმა და გაურკვევლობებმა შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე. კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში წამოჭრილ რისკებს, კომპანია მათი დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს. ამ ნაწილში ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობებია გაანალიზებული, რომლის წინაშეც კომპანია დგას.

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.



ზექა კიკალეიშვილი

დირექტორი



მარია სააკოვა

მთავარი ბუღალტერი